

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

აღნიშნული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ეყრდნობა ნივთიერებებისა და ნარევის კლასიფიკაციისა და ეტიკეტების შესახებ გაერთიანებული ერების გლობალური ჰარმონიზებული სისტემის (UN GHS) სტანდარტებით გათვალისწინებულ სტრუქტურას და შეიცავს კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციას საერთაშორისოდ აღიარებული წესების შესაბამისად. არსებული ზემოქმედების ზღვრები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ყველა ქვეყნის მარეგულირებელ სტანდარტებს.

### პარაგრაფი 1: ნივთიერების/ნარევისა და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

#### 1.1 პროდუქტის იდენტიფიკატორი

პროდუქტის სახელწოდება : ზორვეკ ვინაბელი /Zorvec Vinabel  
სინონიმები : ზორვეკ ვინაბელი 340 სე  
DPX-UBL47 340 SE  
GF-3860

#### 1.2. ნივთიერების ან ნარევის მიზნობრივი იდენტიფიცირებული გამოყენება და რეკომენდებული შეზღუდვები

ნივთიერების/ ნარევის გამოყენება : ფუნგიციდი

#### 1.3. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მომწოდებლის მონაცემები

კომპანია : დიუპონ ინტერნეიშენალ ოპერეიშენ ს.ა.რ.ლ.  
DuPont International Operations S.a.r.l.  
2, chemin du Pavillon  
CH-1218 Le Grand-Saconnex / GE  
შვეიცარია  
ტელეფონი : +41 (0) 22 717 51 11  
ტელეფაქსი : +41 (0) 22 717 51 09  
მომწოდებელი : "დიუპონ დე ნემური ს.ა.ს." (საფრანგეთი)  
Du Pont de Nemours (France) S.A.S.  
82, rue de Wittelsheim  
F-68701 Cernay Cedex  
ტელეფონი : +33 (0) 3 89 38 38 38  
ელ-ფოსტა : sds-support@che.dupont.com

#### 1.4. გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი

+(44)-870-8200418 (CHEMTREC)

ტოქსიკოლოგიური ცენტრები შეიძლება ფლობდეს მხოლოდ პროდუქტების შესახებ (EC) 121272/2008 რეგულაციისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელ ინფორმაციას.

### პარაგრაფი 2. საფრთხეების იდენტიფიკაცია

#### 2.1 ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია

კანის სენსიბილიზაცია, კატეგორია 1 მწვავე ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისათვის, კატეგორია 1	H317: შეიძლება გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
ქრონიკული ტოქსიკურობა წყლის ორგანიზმებისათვის, კატეგორია 1	H400: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
	H410: ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

### 2.2 ეტიკეტის ელემენტები



#### II გაფრთხილება

<p>H317:</p> <p>H410</p>	<p>შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.</p> <p>ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.</p>
<p>ზოგიერთი ნივთიერების ან ნარევის სპეციალური მარკირება</p>	<p>EUH401 ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, დაიცავით გამოყენების ინსტრუქციები.</p>
<p>P261</p> <p>P273</p> <p>P280</p> <p>P333 + P313</p> <p>P362 + P364</p> <p>P391</p> <p>P501</p>	<p>არ შეისუნთქოთ მტვერი/კვამლი/აირი/ნისლი/ორთქლი/შხეფები.</p> <p>პრეპარატი არ უნდა მოხვდეს გარემოში.</p> <p>გაიკეთეთ დამცავი ხელთათმანი.</p> <p>თუ კანის გაღიზიანება ან გამონაყარი შეინიშნება: მიიღეთ სამედიცინო რჩევა/დახმარება.</p> <p>გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გარეცხეთ ხელმეორედ გამოყენებამდე.</p> <p>შეაგროვეთ დაღვრილი/დაფრქვეული პროდუქტი.</p> <p>შითავსის/ტარის უტილიზაცია მოახდინეთ ნებადართულ ობიექტზე ადგილობრივი, რეგიონალური, ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად.</p>
<p>SP 1</p>	<p>არ დააბინძუროთ წყლები პროდუქტით ან მისი ტარით (არ გაწმინდოთ გამოყენებული მოწყობილობა ზედაპირული წყლის სიახლოვეს / თავიდან აიცილეთ ფერმებიდან და გზებიდან სადრენაჟე სისტემებით დაბინძურება).</p>

### 2.3. სხვა რისკები

ეს ნივთიერება / ნარევი არ შეიცავს კომპონენტებს, რომლებიც 0,1% ან უფრო მაღალ კონცენტრაციით განიხილება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT) ან ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

## პარაგრაფი 3. შემადგენლობა/ ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

### 3.1. ნივთიერებები

არ ექვემდებარება შევსებას.

### 3.2. ნარევი

რეგისტრაციის ნომერი	კლასიფიკაცია რეგულაციის (EU) 1272/2008 (CLP) შესაბამისად	კონცენტრაცია (% w/w)
---------------------	----------------------------------------------------------	----------------------

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

### ზოქსამიდი (CAS-No.156052-68-5)

(M-კოეფიციენტი : 10[მწვავე] 10[ქრონიკული])

	თვალის გაღ. 2; H319 კანის სენს. 1; H317 წყლისათვის მწვავე 1; H400 წყლისათვის ქრონიკული 1; H410	28,4 %
--	---------------------------------------------------------------------------------------------------------	--------

### ოქსათიაპიპროლინი (CAS-No.1003318-67-9)

(M-კოეფიციენტი : 1[მწვავე] 1[ქრონიკული])

	წყლისათვის მწვავე 1; H400 წყლისათვის ქრონიკული 1; H410	3,91 %
--	-----------------------------------------------------------	--------

### კალციუმის დოდეცილბენზოლსულფონატი (CAS-No.26264-06-2) (EC-No.247-557-8)

	მწვავე ტოქ. 4; H302 კანის გაღ. 2; H315 თვალის დაზ. 1; H318	>= 0 - <= 5 %
--	------------------------------------------------------------------	---------------

### სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი -დაუზუსტებელი (CAS-No.64742-94-5) (EC-No.265-198-5)

	კანის გაღ. 2; H315 STOT SE 3; H336 STOT SE 3; H335 ასპ. ტოქ. 1; H304 წყლისათვის ქრონიკული 2; H411	<= 0,5 %
--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------

ზემოთ აღნიშნული პროდუქტები შეესაბამება REACH რეგისტრაციის მოთხოვნებს. რეგისტრაციის ნომერი(ები) შეიძლება არ იყოს მოცემული, თუ ნივთიერებები არ ექვემდებარება აღრიცხვას, ჯერ არ არის რეგისტრირებული REACH-ში, ან რეგისტრირებულია სხვა მარეგულირებელი პროცესების შესაბამისად (ბიოციდების გამოყენება, მცენარეთა დაცვის საშუალებები) და სხვა.

ამ პარაგრაფში მითითებული H-ფრაზების სრული ტექსტი იხილეთ მე-16 პარაგრაფში.

## პარაგრაფი 4. პირველადი დახმარების ზომები

### 4.1. პირველადი დახმარების ზომების აღწერა

- ზოგადი რჩევა : უგონო მდომარეობაში მყოფ ადამიანს არ გადააყლაპოთ არაფერი.
- ჩასუნთქვისას : დაზარალებული გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე. შეიძლება საჭირო გახდეს ხელოვნური სუნთქვა და/ან ჟანგბადი. მნიშვნელოვანი ზემოქმედებისას მიმართეთ ექიმს.
- კანზე მოხვედრისას : დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაზინძურებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ დიდი რაოდენობის წყლითა და საპნით. კანის გაღიზიანების ან ალერგიული რეაქციების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს. გარეცხეთ დაზინძურებული ტანსაცმელი ხელმეორედ გამოყენებამდე.
- თვალში მოხვედრისას : მოიხსენით კონტაქტური ლინზები, თუ ატარებთ და მოხსნა ადვილია.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

დაიჭირეთ ქუთუთოები დაშორებით და თვალი ნელა და ფრთხილად გამოირეცხეთ სუფთა წყლით 15-20 წუთის განმავლობაში. თუ თვალის გაღიზიანება ნარჩუნდება, მიმართეთ სპეციალისტს.

გადაყლაპვისას : მიიღეთ სამედიცინო დახმარება. არ გამოიწვიოთ ღებინება ექიმის ან ტოქსიკოლოგიური ცენტრის მითითების გარეშე. თუ დაზარალებულს გრძნობა არა აქვს დაკარგული: გამოივლეთ პირის ღრუში წყლი.

### 4.2. ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც მწვავე ასევე შეყოვნებული სიმპტომები და შედეგები

სიმპტომები : ადამიანის ინტოქსიკაციის შემთხვევები და ექსპერიმენტული ინტოქსიკაციის სიმპტომები ცნობილი არ არის.

### 4.3. ნებისმიერი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სპეციალური მკურნალობის საჭიროების ჩვენება

მკურნალობა : სიმპტომატური მკურნალობა.

## პარაგრაფი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

### 5.1. ხანძრის ჩაქრობის საშუალებები

ხანძრის ჩაქრობის ხელსაყრელი საშუალებები : გამოიყენეთ ადგილობრივი პირობებისა და მიმდებარე გარემოს შესაბამისი ხანძრის ჩაქრობის საშუალებები.  
ხანძრის ჩაქრობის შეუსაბამო საშუალებები : დიდი მოცულობის წყლის ჭავლი, (დაბინძურების რისკი)

### 5.2. ნივთიერებიდან ან ნარევიდან წარმოქმნილი განსაკუთრებული საფრთხეები

განსაკუთრებული საფრთხეები ხანძრის ჩაქრობის დროს : აალებადობა და ფეთქებადსაშიში თვისებები არ არის გამოკვლეული, აღნიშნული პრეპარატი გამოიყენეთ განსაკუთრებული სიფრთხილით.  
: ხანძრის პირობებში წარმოქმნილი საშიში დაშლის პროდუქტები. ნახშირბადის დიოქსიდი (CO<sub>2</sub>), აზოტის ოქსიდები (NO<sub>x</sub>).

### 5.3. რეკომენდაციები მეხანძრეებისთვის

სპეციალური დამცავი აღჭურვილობა მეხანძრეებისთვის : ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი და გამოიყენეთ ავტონომიური სასუნთქი მოწყობილობები.

დამატებითი ინფორმაცია : არ დაუშვათ ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლით ზედაპირული წყლების ან გრუნტის წყლების სისტემის დაბინძურება. ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყალი შეაგროვეთ ცალკე. ის არ უნდა ჩაღვართ კანალიზაციაში.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

ხანძრის ნარჩენებისა და ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული დაბინძურებული წყლის გაუვნებელყოფა მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

: (მცირე ხანძრების დროს) თუ ტერიტორია ძლიერ მოიცვა ხანძარმა და პირობები იძლევა საშუალებას, ხანძარს მიეცით თვითჩაქრობის საშუალება, ვინაიდან წყალმა შეიძლება გაზარდოს დაბინძურების ზონა. გააგრძელეთ ტარა/ავზები წყლის ჭავლით.

### პარაგრაფი 6. ღონისძიებები შემთხვევითი დაღვრის/გაფანტვის დროს

#### 6.1. პირადი უსაფრთხოების ზომები, დამცავი აღჭურვილობა და საგანგებო პროცედურები

პირადი უსაფრთხოების ზომები : გააკონტროლეთ ტერიტორიაზე დაშვება. პერსონალი გაარიდეთ დაღვრის /გაჟონვის ადგილსა და ქარპირა მხარეს. გაანიავეთ დაბინძურებული სივრცე. მიიღეთ სიფრთხილის ზომები სტატიკური ელექტრობის განმუხტვის თავიდან ასაცილებლად. დაიცავით თვალები, კანი და ტანსაცმელი. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. იხილეთ მე-7 და მე-8 პარაგრაფებში ჩამოთვლილი დამცავი ღონისძიებები.

#### 6.2 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები

გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომები : გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ შესაბამისი კონტეინერი. შეაჩერეთ შემდგომი გაჟონვა ან დაღვრა, თუ ამის გაკეთება უსაფრთხოა. არ ჩაღვართ ზედაპირულ წყლებსა და კანალიზაციის სისტემაში. არ დაუშვათ პრეპარატით მიწისქვეშა წყლის სისტემის დაბინძურება. თუ მასშტაბური დაღვრის შეჩერება ვერ ხერხდება, შეატყობინეთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. თუ დაღვრის არეალი ფოროვანია, დაბინძურებული მასალა უნდა შეგროვდეს შემდგომი დამუშავების ან უტილიზაციის მიზნით. თუ პრეპარატმა დააბინძურა მდინარეები და ტბები ან საკანალიზაციო სისტემები, აცნობეთ შესაბამის ორგანოებს.

#### 6.3. გავრცელების ლოკალიზაციისა და დასუფთავებისათვის საჭირო მასალა და მეთოდები

დასუფთავების მეთოდები : დასუფთავების მეთოდები – მცირე რაოდენობით დაღვრა: გამოიყენეთ ინერტული მშთანთქმელი მასალები. დაღვრილი პროდუქტი მოწმინდეთ ან ამოტუმბეთ და მოათავსეთ შესაბამის კონტეინერში უტილიზაციისათვის. დასუფთავების მეთოდები – მასშტაბური დაღვრა: შეაჩერეთ შემდგომი გაჟონვა ან დაღვრა, პროდუქტის შეწოვა მოახდინეთ ინერტული მშთანთქმელი მასალით (მაგალითად, ქვიშა, მიწა, დიატომური მიწა, ვერმიკულატი), გადაიტანეთ შესაბამის კონტეინერში ადგილობრივი/ეროვნული რეგულაციების შესაბამისად უტილიზაციისათვის (იხილეთ პარაგრაფი 13).

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

დიდი რაოდენობით დაღვრილი პროდუქტი უტილიზაციისათვის უნდა შეგროვდეს მექანიკურად (ამოიტუმბვით). დაღვრილი სითხე შეაგროვეთ ჰერმეტიკულ (მეტალის /პლასტმასის) კონტეინერებში ან ავზებში. შეაგროვეთ დაბინძურებული მშთანქმელი მასალა და განათავსეთ უტილიზაციისათვის.

სხვა ინფორმაცია : უტილიზაცია მოახდინეთ ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. არასოდეს დააბრუნოთ დაღვრილი პრეპარატი ქარხნულ ტარაში ხელმეორედ გამოყენების მიზნით.

### 6.4. მითითება სხვა პარაგრაფებზე

ინდივიდუალური დაცვის ზომების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 პარაგრაფში. უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციები იხილეთ მე-13 პარაგრაფში.

## პარაგრაფი 7. მოხმარება და შენახვის პირობები

### 7.1. სიფრთხილის განსაკუთრებული ზომები უსაფრთხო გამოყენების დროს

უსაფრთხო გამოყენების რჩევები : გამოიყენეთ მხოლოდ ჩვენი რეკომენდაციების შესაბამისად. გამოიყენეთ მხოლოდ სუფთა აპარატურა. არ შეისუნთქოთ ორთქლი ან შეფეხები. გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. პირადი უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 პარაგრაფი. უზრუნველყავით სათანადო განიავება. პროდუქტის ტარის გახსნისას თავიდან აიცილეთ ამოსული ორთქლის ჩასუნთქვა. სამუშაო ხსნარი მოამზადეთ, როგორც ეს მითითებულია ეტიკეტ(ებ)ზე და/ან მოხმარებლის ინსტრუქციებზე. სამუშაო ხსნარი გამოიყენეთ მომზადებისთანავე – არ შეინახოთ. მუშაობის დროს ხსნარის გადმოღვრის თავიდან ასაცილებლად ბოთლი მოათავსეთ მეტალის სადგარზე. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები. გაიხადეთ და გარეცხეთ დაბინძურებული ტანსაცმელი ხელმეორედ გამოყენებამდე. არასოდეს დააბრუნოთ გამოყენებული პროდუქტი საწყობში შესანახად. არ გადააჭარბოთ სამუშაო ადგილზე ექსპოზიციის დადგენილ ზღვარს (იხ. პარაგრაფი 8).

აალებისა და აფეთქების საწინააღმდეგო მითითებები : შეინახეთ სითბოს და აალების წყაროებისაგან მოშორებით. მიიღეთ ზომები ელექტროსტატიკური მუხტის დაგროვების ასაცილებლად.

### 7.2. უსაფრთხო შენახვის პირობები, ნებისმიერი შეუთავსებლობის ჩათვლით

სასაწყობე სივრცესთან და ტარასთან დაკავშირებული მოთხოვნები : შეინახეთ მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. შეინახეთ ქარხნულ ტარაში.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

: შეინახეთ სათანადოდ მარკირებულ ტარაში. შეინახეთ ჰერმეტიკულად თავდახურული გრილ და კარგად განიავებად ადგილზე. შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე. შეინახეთ კვების პროდუქტების, სასმელისა და ცხოველების საკვებისაგან შორს.

რჩევები შერეულ დასაწყობებაზე

: სხვა პროდუქტებთან ერთად შენახვისას განსაკუთრებული შეზღუდვები არ არის.

სხვა მონაცემები

: სტაბილურია რეკომენდებულ პირობებში შენახვისას.

### 7.3. სპეციფიკური საბოლოო გამოყენება

მცენარეთა დაცვის პროდუქტები ექვემდებარება (EC) No 1107/2009 რეგულაციას.

## პარაგრაფი 8. ექსპოზიციის კონტროლი/პირადი უსაფრთხოება

### 8.1. კონტროლის პარამეტრები

თუ ეს ქვეპარაგრაფი ცარიელია, ამ შემთხვევაში მონაცემები არ გამოიყენება.

### 8.2. ექსპოზიციის კონტროლი

საინჟინრო კონტროლის  
ლონისძიებები

: უზრუნველყავით სათანადო განიავება, განსაკუთრებით შეზღუდულ სივრცეებში. გამოიყენეთ საკმარისი განიავება, დასაქმებულებზე ექსპოზიციის რეკომენდებული ზღვრების ქვემოთ შესანარჩუნებლად.

თვალეების დაცვა

: უსაფრთხოების სათვალეები გვერდითი ფარებით, რომელიც შეესაბამება EN166 სტანდარტს. დამატებით გამოიყენეთ სახის დამცავი ფარი, სადაც არსებობს სახეზე პრეპარატის შემხეფების, შეფრქვევის ან ჰაერიდან შეხების მოსალოდნელი რისკი.

ხელეების დაცვა

: მასალა: ნიტრილური რეზინი  
ხელთათმნის სისქე: 0,4 - 0,7 მმ  
ხელთათმნის სიგრძე: 35 სმ სიგრძის და უფრო გრძელი.  
დაცვის ინდექსი: მე-6 კლასი  
გაცვეთის დრო : > 480 წთ  
შერჩეული დამცავი ხელთათმნის ტექნიკური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს ევროკავშირის 89/686/EEC დირექტივასა და მისგან მიღებულ სტანდარტს EN374. გთხოვთ დაიცვათ მასალის გამტარობის და დამცავ შრეში შეღწევის (გაცვეთის) დროის შესახებ მომწოდებლის მიერ დადგენილი მითითებები. ასევე მხედველობაში მიიღეთ კონკრეტული ადგილობრივი პირობები, რომლის დროსაც გამოიყენება პროდუქტი, როგორცაა გაჭრის, გაკაწვრის საშიშროება და კონტაქტის დრო. სპეციფიკურ სამუშაო ადგილთან შესაბამისობა უნდა განიხილოთ დამცავი ხელთათმნის მწარმოებელთან.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

ხელთათმნის გაცვეთის დრო დამოკიდებულია მასალის სხვადასხვა მახასიათებლებზე, სისქეზე, ხელთათმნის ტიპზე და შესაბამისად უნდა შეფასდეს ცალკეულ შემთხვევაში. გაცვეთის ზუსტი დროის დადგენა ხდება მწარმოებელთან და ის უნდა იყოს გათვალისწინებული. ხელთათმანი უნდა შემოწმდეს გამოყენებამდე. ხელთათმანები უნდა გადაიყაროს ან შეიკვალოს, თუ შეინიშნება დეგრადაციის ან ქიმიური შეღწევადობის ნიშნები. 35 სმ სიგრძის და უფრო გრძელი ხელთათმანი უნდა გაიკეთოთ კომბინირებული სახელოს ზემოდან. სანამ გაიხდიდეთ ხელთათმანები გარეცხეთ საპნითა და წყლით.

კანისა და სხეულის დაცვა

: პროდუქტის წარმოება და დამუშავება: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 6 (EN 13034).

შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა გამოიყენონ: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 6 (EN 13034). რეზინის წინსაფარი, ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

შესხურებით შეწამვლა-ღია სივრცეში: ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღვეველი ჩაჩით: ჩვეულებრივ სხეულის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები არ არის საჭირო.

ტრაქტორი/ შემასხურებელი გაფრქვევის შემზღვეველი ჩაჩის გარეშე: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 4 (EN 14605). ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

ზურგსაკიდი/მხარზე გადასაკიდებელი შესაწამლი აპარატი: დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 4 (EN 14605). ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

როდესაც განსაკუთრებული გარემოებები მოითხოვს დამუშავებულ ფართობზე ხელმეორედ შესვლის პერიოდის გასვლამდე მუშაობას, ჩაიცვით დამცავი სპეცტანსაცმლის სრული კომპლექტი ტიპი 6 (EN 13034), ნიტრილური რეზინის ხელთათმანი კლასი 3 (EN 374) და ნიტრილური რეზინის ჩექმები (EN 13832-3 / EN ISO 20345).

ზოგიერთი ქსოვილის ტარების დროს, ერგონომიკის ოპტიმიზაციისთვის შესაძლოა რეკომენდებული იყოს ბამბის საცვლების გამოყენება. მიიღეთ რჩევა მომწოდებლისგან.

წყლის ორთქლის, ასევე ჰაერის მიმართ მდგრადი ტანსაცმლის მასალები, მაქსიმალურად გაზრდის ტარების კომფორტს. მასალები უნდა იყოს მყარი, რათა გამოყენებისას შეინარჩუნოს მთლიანობა და სრულყოფილი დაცვის ფუნქცია.

ქსოვილის გამტარიანობა უნდა შემოწმდეს რეკომენდებული დაცვის „ტიპისგან“ დამოუკიდებლად, რათა შეფასდეს შესაბამისი აგენტებისა და ექსპოზიციის ტიპის მიმართ მასალის გამძლეობის დონე.



# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

- დამცავი ზომები** : ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტიპი უნდა შეირჩეს კონკრეტულ სამუშაო ადგილზე საშიში ნივთიერების კონცენტრაციისა და რაოდენობის გათვალისწინებით. გამოყენებამდე ყველა ქიმიური დამცავი საშუალება უნდა შემოწმდეს ვიზუალურად. დამცავი ტანსაცმელი და ხელთათმანი უნდა შეიცვალოს ქიმიური ან ფიზიკური დაზიანების, ან დაბინძურების შემთხვევაში. გამოყენების პერიოდში მხოლოდ სათანადოდ დაცულ მომუშავეს შეუძლია დასამუშავებელ ფართობზე ყოფნა.
- ჰიგიენური მოთხოვნები** : მოიხმარეთ კარგი სამრეწველო ჰიგიენისა და უსაფრთხოების პრაქტიკის შესაბამისად. რეგულარულად გაწმინდეთ აღჭურვილობა, სამუშაო ადგილი და სპეცტანსაცმელი. სამუშაო ტანსაცმელი შეინახეთ განცალკევებით. დაბინძურებული ტანსაცმელი არ უნდა გაიტანოთ სამუშაო ზონიდან. შესვენების დაწყებამდე და პროდუქტის გამოყენების შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბანეთ ხელები და სახე. გამოყენების დროს აკრძალულია საკვების მიღება, დალევა ან თამბაქოს მოწევა. შეინახეთ საკვებ პროდუქტების, სასმელისა და ცხოველთა საკვებისგან შორს. გაიხადეთ ტანსაცმელი/ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, თუ პროდუქტი შეადგენს შიგნით. გარემოს დაცვის მიზნით გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი და გარეცხეთ ხელმეორედ გამოყენებამდე. ნარეცხი წყლის გაუვნებლობა მოახდინეთ ადგილობრივი და ეროვნული წესების შესაბამისად.
- სასუნთქი გზების დაცვა** : წარმოება და დამუშავება: ნახევარნიღაბი ორთქლის ფილტრით A1 (EN 141).  
შემზავებლებმა და მტვირთავებმა უნდა ატარონ: ნახევარნიღაბი ორთქლის ფილტრით A1 (EN 141).  
შესხურებით შეწამვლა – ღია სივრცეში: ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩით: ჩვეულებრივ ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები არ არის საჭირო.  
ტრაქტორი/შემასხურებელი გაფრქვევის შემზღუდველი ჩაჩის გარეშე: ნახევარნიღაბი ნაწილაკების ფილტრით FFP1 (EN149).  
ზურგსაკიდი/მხარზე გადასაკიდებელი შესაწამლი აპარატი: ნახევარნიღაბი ნაწილაკების ფილტრით P1 (EN 143).  
მექანიკურად ავტომატიზირებული შეწამვლა სათბურში: შეწამვლის დროს ჩვეულებრივ ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი საშუალებები არ არის საჭირო.

## პარაგრაფი 9. ფიზიკური და ქიმიური თვისებები

### 9.1 ინფორმაცია ძირითად ფიზიკურ და ქიმიურ მახასიათებლებზე

- ფორმა : სითხე  
ფერი : მოყვითალო-თეთრი

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

სუნის შეგრძნების ზღვარი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
pH	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
ლღობის ტემპერატურა/გაცივნვის ტემპერატურა	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
დუღილის ტემპერატურა/დუღილის დიაპაზონი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
აალების ტემპერატურა	:	> 200 °F
თვითდაჩქარებული დაშლის ტემპერატურა (SADT)	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
აალებალობა (მყარი, გაზი)	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
ანთების ტემპერატურა	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
დამჟანგავი თვისებები	:	პროდუქტი არ არის დამჟანგავი.
ფეთქებადი თვისებები	:	არ არის ფეთქებადი
აფეთქების ქვედა ზღვარი/აალების ქვედა ზღვარი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
აფეთქების ზედა ზღვარი/აალების ზედა ზღვარი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
ორთქლის წნევა	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
სიმკვრივე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
ფარდობითი სიმკვრივე	:	1,09
მოცულობითი სიმკვრივე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
წყალში ხსნადობა	:	ემულსირებადი
განაწილების კოეფიციენტი ნ-ოქტანოლი / წყალი	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
თვითაალების ტემპერატურა	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
ხსნადობა სხვა გამხსნელებში	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
სიბლანტე, დინამიკური	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
სიბლანტე, კინემატიკური	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
ორთქლის ფარდობითი სიმკვრივე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.
აორთქლების სიჩქარე	:	მონაცემი არ არის ხელმსაწვდომი.

### 9.2. დამატებითი ინფორმაცია

დამატებით ინფორმაციას არ არის მითითებული.

### პარაგრაფი 10. სტაბილურობა და რეაქტიულობა

- 10.1. რეაქტიულობა : არ არის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი.
- 10.2. ქიმიური მდგრადობა : აღნიშნული პროდუქტი ქიმიურად სტაბილურია შენახვის, გამოყენების რეკომენდებული პირობებისა და ტემპერატურის დროს.
- 10.3. სახიფათო რეაქციების შესაძლებლობა : აღნიშნული პროდუქტის სახიფათო რეაქციისუნარიანობა არ არის ცნობილი.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441

განახლების თარიღი: 12.04.2018

ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

გამოცემის თარიღი: 12.04.2018

- 10.4. ასარიდებელი გარემოებები: : არ შეუერთოთ სხვა მასალებს, თუ ამის გაკეთება კვალიფიცირებული ქიმიკოსის მიერ არ არის მითითებული.
- 10.5. შეუთავსებელი მასალები/ნივთიერებები : არ არის გასათვალისწინებელი მასალები/ნივთიერებები.
- 10.6. საშიში დაშლის პროდუქტები : არ არის გასათვალისწინებელი მასალები/ნივთიერებები.

## პარაგრაფი 11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

### 11.1. ინფორმაცია ტოქსიკოლოგიური ეფექტების შესახებ

მწვავე პერორალური ტოქსიკურობა

LD<sub>50</sub> / ვირთაგვა : > 5 000 მგ/კგ  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

მწვავე ინჰალაციური ტოქსიკურობა

LD<sub>50</sub> / ვირთაგვა : > 2,6 მგ/ლ  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

მწვავე დერმალური ტოქსიკურობა

LD<sub>50</sub> / ვირთაგვა : > 5 000 მგ/კგ  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

კანის გაღიზიანება

კურდღელი  
ექსპოზიციის დრო 24 სთ  
მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტები არ დაფიქსირებულა. ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

თვალის გაღიზიანება

კურდღელი  
ექსპოზიციის დრო 24 სთ  
კლასიფიკაცია: არ აღიზიანებს თვალს.  
მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტები არ დაფიქსირებულა. ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

სენსიბილიზაცია

- ზოქსამინი
- ზღვის გოჭი

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

კლასიფიკაცია: კანზე მოხვედრისას შეიძლება გამოიწვიოს სენსიბილიზაცია.

შედეგი: კანზე მოხვედრისას შეიძლება გამოიწვიოს სენსიბილიზაცია.

მეთოდი: US EPA -ს (ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტო) ტესტი OECD-ის OPP 81-6 სახელმძღვანელო პრინციპებით.

ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

- **ოქსათიაპიპროლინი**

ზღვის გოჭის მაქსიმოზაციის ტესტი

შედეგი: ლაბორატორიულ ცხოველებზე არ იწვევდა სენსიბილიზაციას.

მეთოდი: ტესტი OECD-ის 406 სახელმძღვანელო პრინციპებით.

ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

- **სოლვენტი-ნავთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი**

ზღვის გოჭი

კლასიფიკაცია: არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას.

შედეგი: არ იწვევს კანის სენსიბილიზაციას.

მეთოდი: ტესტი OECD-ის 406 სახელმძღვანელო პრინციპებით

მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისთვის მიღებულ მონაცემებს.

განმეორებითი დოზის ტოქსიკურობა

- **ზოქსამიდი**

გადაყლაპვა: სხვადასხვა სახეობა

ექსპოზიციის დრო: 90 დღე

მეთოდი: OPPTS 870.3100 ინსტრუქცია

ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა., ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

დერმალური, ვირთაგვა

ექსპოზიციის დრო: 28 დღე

მეთოდი: OPPTS 870.3200 ინსტრუქცია

ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა., ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

- **ოქსათიაპიპროლინი**

პერორალური – კვება ვირთაგვა

მეთოდი: ტესტი OECD-ის 407 სახელმძღვანელო პრინციპებით

ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა., ორგანოების წონის ცვლილება,

ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

პერორალური – კვება ძაღლი

მინიმალური ეფექტები, რომელიც არ შეესაბამება კლასიფიკაციის ბარიერს, ორგანოების წონის ცვლილება,

ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

- სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი  
გადაყლაპვა: ვირთაგვა  
ექსპოზიციის დრო: 90 დღე  
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა.

ინჰალაცია ვირთაგვა  
ექსპოზიციის დრო: 90 დღე  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 413 სახელმძღვანელო პრინციპებით  
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა.

კანზე კონტაქტი ვირთაგვა  
ექსპოზიციის დრო: 28დღე  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 410 სახელმძღვანელო პრინციპებით  
ტოქსიკოლოგიურად მნიშვნელოვანი ეფექტები არ გამოვლენილა.

### მუტაგენური აქტივობის შეფასება

- ზოქამიდი  
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი. ბაქტერიული ან ძუძუმწოვრების უჯრედების კულტურებზე ჩატარებულმა ტესტებმა მუტაგენური ეფექტები არ გამოავლინა.
- ოქსათიაპიპროლინი  
ბაქტერიული ან ძუძუმწოვრების უჯრედების კულტურებზე ჩატარებულმა ტესტებმა არ აჩვენა მუტაგენური ეფექტები. ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი.
- სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი  
ცხოველთა ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი. ბაქტერიული ან ძუძუმწოვრების უჯრედების კულტურებზე ჩატარებულმა ტესტებმა ეფექტები არ გამოავლინა.  
მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

ცხოველთა ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის მუტაგენური ეფექტი. ბაქტერიული ან ძუძუმწოვრების უჯრედების კულტურებზე ჩატარებულმა ტესტებმა არ აჩვენა მუტაგენური ეფექტები. მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისთვის მიღებულ მონაცემებს.

### კანცეროგენული აქტივობის შეფასება

- ზოქსამიდი  
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის კანცეროგენული ეფექტი.
- ოქსათიაპიპროლინი  
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რაიმე ტიპის კანცეროგენული ეფექტი.
- სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი  
მტკიცებულებების ერთობლიობით არ არის კლასიფიცირებული როგორც კანცეროგენი. მტკიცებულებების ერთობლიობა მიუთითებს, რომ ნივთიერება არ არის კანცეროგენული. მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

არ არის კლასიფიცირებული როგორც ადამიანის მიმართ კანცეროგენული. მტკიცებულებების ერთობლიობა მიუთითებს, რომ ნივთიერება არ არის კანცეროგენული. მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

### რეპროდუქციული ტოქსიკურობის შეფასება

- **ზოქსამიდი**  
რეპროდუქციაზე ტოქსიკურობა არ არის. ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რეპროდუქციული ტოქსიკურობა.
- **ოქსათიაპიპროლინი**  
რეპროდუქციაზე ტოქსიკურობა არ არის. მინიმალურია ეფექტები, რომელიც არ შეესაბამება კლასიფიკაციის ბარიერს. ვირთაგვების მომწიფებაში დაფიქსირდა მცირე შეფერხებები.
- **კალციუმის დოდეცილბენზოლსულფონატი**  
რეპროდუქციაზე ტოქსიკურობა არ არის. ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რეპროდუქციული ტოქსიკურობა. მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისთვის მიღებულ მონაცემებს.
- **სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი**  
მტკიცებულებათა ერთობლიობა არ ადასტურებს რეპროდუქციული ტოქსიკურობის კლასიფიკაციას.

მონაცემები მიუთითებს, რომ ნივთიერება არ არის ცხოველებში რეპროდუქციული ტოქსინი, არ ახდენს გავლენას ლაქტაციაზე. ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

რეპროდუქციაზე ტოქსიკურობა არ არის. არ ახდენს გავლენას ლაქტაციაზე. ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა რეპროდუქციული ტოქსიკურობა. მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

### ტერატოგენური მოქმედების შეფასება

- **ზოქსამიდი**  
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა განვითარების ტოქსიკურობა.
- **ოქსათიაპიპროლინი**  
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა განვითარების ტოქსიკურობა.
- **კალციუმის დოდეცილბენზოლსულფონატი**  
ცხოველებზე ტესტირებამ არ აჩვენა განვითარების მიმართ ტოქსიკურობა. მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.
- **სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი**  
ცხოველებზე ტესტირებამ აჩვენა ემბრიონის-ჩანასახის განვითარებაზე ზემოქმედება დედის ტოქსიკურობის გამომწვევი ზემოქმედების ექვივალენტურ ან მეტ დონეზე.  
ცხოველთა ტესტირებამ არ აჩვენა განვითარების ტოქსიკურობა. მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

STOT – ერთჯერადი ექსპოზიცია  
ნივთიერება ან ნარევი არ კლასიფიცირდება როგორც სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური, ერთჯერადი ექსპოზიცია.

STOT – განმეორებითი ექსპოზიცია  
ნივთიერება ან ნარევი არ კლასიფიცირდება როგორც სპეციფიკური სამიზნე ორგანოს მიმართ ტოქსიკური, განმეორებითი ექსპოზიცია.

### ასპირაციის საფრთხე

ნარევის არ გააჩნია თვისებები, რომლებიც ასოცირდება ასპირაციის საშიშროების პოტენციალთან.

## პარაგრაფი 12. ეკოლოგიური ინფორმაცია

### 12.1. ტოქსიკურობა

თევზების მიმართ ტოქსიკურობა

- ზოქსამიდი  
LC50 / 96 სთ / *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი): 0,16 მგ/ლ  
ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მიღებული მონაცემები.
- ოქსათიაპიპროლინი  
სტატიკური ტესტი / LC50 / 96 სთ / *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი): > 0,69 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 203 სახელმძღვანელო პრინციპებით  
არ იწვევს მწვავე ტოქსიკურ მოქმედებას წყალში ხსნადობის ზღვრამდე კონცენტრაციების დროს.  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.
- კალციუმის დოდეცილბენზოლსულფონატი  
LC50 / 48 სთ / *Cyprinus carpio* (კობრი): 2,8 მგ/ლ
- სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი  
LC50 / 96 სთ / *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი): 2 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 203 სახელმძღვანელო პრინციპებით

წყალმცენარეების მიმართ ტოქსიკურობა

- ზოქსამიდი  
სტატიკური ტესტი / ErC50 / 96 სთ / *Desmodesmus subspicatus* (მწვანე წყალმცენარეები): 0,018 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 201 სახელმძღვანელო პრინციპებით  
მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.
- ოქსათიაპიპროლინი  
ErC50 / 96 სთ / *Desmodesmus subspicatus* (მწვანე წყალმცენარეები): 0,142 მგ/ლ.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

არ იწვევს მწვავე ტოქსიკურ მოქმედებას წყალში ხსნადობის ზღვრამდე კონცენტრაციების დროს.  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.

- სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი  
EC50 / 72 სთ / *Desmodesmus subspicatus* (მწვანე წყალმცენარეები): 1 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 201 სახელმძღვანელო პრინციპებით

NOEC / 96 სთ / *Desmodesmus subspicatus* (მწვანე წყალმცენარეები): 0,4 მგ/ლ.  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 201 სახელმძღვანელო პრინციპებით  
მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

წყლის უხერხემლოების მიმართ ტოქსიკურობა

- ზოქსამიდი  
EC50 / 48 სთ / *Americamysis bahia* (კრვეტები-მიზიდები): 0,075 მგ/ლ  
ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.
- ოქსათიაპიპროლინი  
EC50 / 48 სთ / *Daphnia magna* (წყლის რწყილი): 0,67 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით.  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში.
- სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი  
EC50 / 48 სთ / *Daphnia magna* (წყლის რწყილი): 3 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 202 სახელმძღვანელო პრინციპებით

სხვა ორგანიზმების მიმართ ტოქსიკურობა

- ზოქსამიდი  
LD50 / 48 სთ / *Apis mellifera* (ფუტკრები): > 100 µგ/ფუტკარზე  
მეთოდი: OPPTS 850.3020  
კონტაქტური ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.
- ოქსათიაპიპროლინი  
*Apis mellifera* (ფუტკრები): >42.02 µგ/ფუტკარზე  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 213 სახელმძღვანელო პრინციპებით  
პერორალური ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში  
  
*Apis mellifera* (ფუტკრები): >104,39 µგ/ფუტკარზე  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 214 სახელმძღვანელო პრინციპებით  
პერორალური ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში

თევზების მიმართ ქრონიკული ტოქსიკურობა

- ზოქსამიდი



# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

NOEC / 95 დღე / *Oncorhynchus mykiss* (ცისარტყელა კალმახი): 0,00348 მგ/ლ  
ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.

- ოქსათიაპიპროლინი  
სიცოცხლის ადრეული ეტაპი / NOEC / 35 დღე / *Cyprinodon variegatus* (sheepshead minnow): 0,34 მგ/ლ.  
მეთოდი: US EPA ტესტი OPPTS 850.1400 სახელმძღვანელო პრინციპებით.  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში

წყლის უხერხემლოების მიმართ ქრონიკული ტოქსიკურობა

- ზოქსამიდი  
NOEC / 21 დღე / *Daphnia magna* (წყლის რწყილი): 0,039 მგ/ლ  
ინფორმაციის წყარო: გარე წყაროდან მოწოდებული მონაცემები.
- ოქსათიაპიპროლინი  
ნახევრად-სტატიკური-სიცოცხლის-ციკლი/NOEC / 21 დღე / *Daphnia magna* (წყლის რწყილი): 0,75 მგ/ლ.  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 211 სახელმძღვანელო პრინციპებით  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში

გამდინარე (დინამიკური) ტესტი/ NOEC / 32 დღე / *Americamysis bahia* (კრევეტები-მიზიდები): 0,058 მგ/ლ  
მეთოდი: OPPTS 850.1350  
ინფორმაციის წყარო: შიდა კვლევის ანგარიში

- სოლვენტი-ნაფთა (ნავთობი), მძიმე არომატული; ნავთი-დაუზუსტებელი  
NOEC / 21 დღე / *Daphnia magna* (წყლის რწყილი): 0,48 მგ/ლ  
მეთოდი: ტესტი OECD-ის 211 სახელმძღვანელო პრინციპებით  
მოწოდებული ინფორმაცია ეყრდნობა მსგავსი ნივთიერებებისათვის მიღებულ მონაცემებს.

### 12.2. მდგრადობა და დეგრადაცია

ბიოდეგრადაციის უნარი

ადვილად არ განიცდის ბიოდეგრადაციას. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებით მიღებულ მონაცემებს.

### 12.3. ბიოაკუმულაციის პოტენციალი

ბიოაკუმულაცია

არ აქვს ბიოაკუმულაციის უნარი. შეფასება ეყრდნობა მოქმედი ნივთიერებით მიღებულ მონაცემებს.

### 12.4. მიგრაცია /მობილურობა ნიადაგში

მობილურობა ნიადაგში

არ არის მოსალოდნელი, რომ პროდუქტი იყოს ნიადაგში მობილური.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

### 12.5. PBT და vPvB შეფასების შედეგები

ეს ნივთიერება / ნარევი არ შეიცავს კომპონენტებს, 0,1% ან უფრო მაღალი კონცენტრაციით, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური (PBT) ან ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი (vPvB).

### 12.6. სხვა მავნე ეფექტები

სხვა გასათვალისწინებელი ეკოლოგიური ეფექტები არ არის.

## პარაგრაფი 13. განკარგვა/უტილიზაცია

### 13.1. ნარჩენების დამუშავების მეთოდები

პროდუქტი : ადგილობრივი და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად. ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს შესაბამის ინსენერატორში, რომელსაც აქვს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა. ნუ დაბინძურებთ ტბორებს, წყალსატევებს ან თხრილებს ქიმიური ნივთიერებებით ან პროდუქტის გამოყენებული ტარით.

დაბინძურებული ტარა : დაუშვებელია ცარიელი ტარის ხელმეორედ გამოყენება.

ნარჩენების მართვის ევროპული კატალოგის ნომერი : 020108: საშიში ნივთიერებების შემცველი აგროქიმიური ნარჩენები.

## პარაგრაფი 14. ტრანსპორტირების შესახებ ინფორმაცია

### ADR

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3082
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. სითხე, N.O.S. (ოქსათიაპიპროლინი, ჩანაცვლებული ბენზამიდი)
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: III
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: ეკოლოგიურად საშიში
- 15.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: (-)
- გვირაბში შეზღუდვის კოდი: (-)

### IATA\_C

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3082
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. სითხე, N.O.S. (ოქსათიაპიპროლინი, ჩანაცვლებული ბენზამიდი)
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: III

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: ეკოლოგიურად საშიში  
14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: "დიუპონ"-ის შიდა რეკომენდაციები და სატრანსპორტო სახელმძღვანელო: ICAO / IATA გადაზიდვა მხოლოდ სატვირთო თვითმფრინავით.

### IMDG

- 14.1. UN (გაერთიანებული ერები) ნომერი: 3082
- 14.2. გაეროს სათანადო გადაზიდვის სახელი: ეკოლოგიურად საშიში ნივთიერება. სითხე, N.O.S. (ოქსათიაპიპროლინი, ჩანაცვლებული ბენზამიდი)
- 14.3. საშიშროების კლასი ტრანსპორტირებისას: 9
- 14.4. შეფუთვის ჯგუფი: III
- 14.5. ეკოლოგიური საფრთხეები: საზღვაო დამაბინძურებელი
- 14.6. უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მომხმარებლისთვის: განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები არ არის საჭირო.
- 14.7. დაუფასოებელი (ნაყარი) ტვირთების ტრანსპორტირება MARPOL II დანართისა და IBC კოდექსის შესაბამისად არ გამოიყენება.

## პარაგრაფი 15. მარეგულირებელი ინფორმაცია

### 15.1. ნივთიერებისა და ნარეგებისთვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი სპეციფიკური რეგულაციები / კანონმდებლობა

კანონმდებლობა განსაკუთრებით დიდი ავარიების საშიშროების შესახებ

სევესო III: ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2012/18 / EU, საშიში ნივთიერებებით გამოწვეული დიდი ავარიების კონტროლის შესახებ.  
გარემოსდაცვითი საფრთხეები  
რაოდენობა: 100 ტ, 200 ტ

### სხვა რეგულაციები:

პროდუქტი კლასიფიცირდება, როგორც საშიში, რეგულაციის (EC) No.1272/2008 შესაბამისად.  
გაითვალისწინეთ 94/33 / EC დირექტივა სამუშაო ადგილზე ახალგაზრდების დაცვის შესახებ.  
გაითვალისწინეთ 98/24/EC დირექტივა სამუშაოზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.  
გაითვალისწინეთ 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატორული მაჩვენებლების პირველი სია.  
გაითვალისწინეთ 92/85 / EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე ორსულთა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ.  
აღნიშნული პროდუქტი სრულად შეესაბამება REACH 1907/2006 / EC რეგლამენტის მოთხოვნებს.

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

### 15.2. ქიმიური უსაფრთხოების შეფასება

ნარევი შეფასებულია რეგულაციის (EC) 110 1107/2009 დებულებების ფარგლებში.  
ამ პროდუქტისათვის/პროდუქტებისათვის ქიმიური უსაფრთხოების შეფასება არ არის საჭირო.

### პარაგრაფი 16. დამატებითი ინფორმაცია

მე-3 პარაგრაფში მითითებული H- ფრაზების სრული ტექსტი.

H302	მაწვია გადაყლაპვისას.
H304	შეიძლება იყოს სასიკვდილო გადაყლაპვისას და ჩასუნთქვისას.
H315	იწვევს კანის გაღიზიანებას.
H317	შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია.
H318	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას.
H319	იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას.
H335	შეიძლება გამოიწვიოს რესპირატორული გაღიზიანება.
H336	შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა.
H400	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის.
H410	ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით.
H411	ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის მოქმედების გრძელვადიანი შედეგებით.

დამატებითი ინფორმაცია

მხოლოდ ექსპერიმენტული გამოყენებისათვის.

### აბრევიატურები და აკრონიმები

ADR	საშიში ტვირთების საგზაო გადაზიდვების ევროპული შეთანხმება
ATE	მწვავე ტოქსიკურობის დადგენა
CAS-No.	ქიმიური ნივთიერებების სარეგისტრაციო სამსახურის საიდენტიფიკაციო ნომერი
CLP	კლასიფიკაცია, მარკირება და შეფუთვა
EbC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება ბიომასის 50% შემცირება
EC50	საშუალო ეფექტური კონცენტრაცია
EN	ევროპული ნორმა
EPA	გარემოს დაცვის სააგენტო
ErC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება ზრდის ტემპის 50%-იანი ინჰიბირება
EyC50	კონცენტრაცია, რომლის დროსაც აღინიშნება მოსავლიანობის 50%-იანი ინჰიბირება
IATA_C	საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაცია (ტვირთი)
IBC	დაუფასოებელი სახიფათო ქიმიკატების საერთაშორისო კოდი
IBC	დაუფასოებელი სახიფათო ქიმიკატების საერთაშორისო კოდი
ICAO	სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
ISO	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

# უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

შედგენილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს რეგულაციის (EC) No. 1907/2006 - დანართი II შესაბამისად



## ზორვეკ ვინაბელი (Zorvec Vinabel)

საცნობარო ნომერი 130000133441  
ვერსია 3.0 (შეიცვალა: ვერსია 2.1)

განახლების თარიღი: 12.04.2018  
გამოცემის თარიღი: 12.04.2018

IMDG	საერთაშორისო საზღვაო საშიში ტვირთები
LC50	საშუალო ლეტალური კონცენტრაცია
LD50	საშუალო ლეტალური დოზა
LOEC	უმცირესი კონცენტრაცია, რომელზეც აღინიშნება ეფექტი
LOEL	უმცირესი დონე, რომელზეც აღინიშნება ეფექტი
MARPOL	საერთაშორისო კონვენცია გემებიდან ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.
n.o.s.	სხვაგვარად მითითებული არ არის
NOAEC	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების კონცენტრაცია
NOAEL	დაუფიქსირებელი უარყოფითი ზემოქმედების დონე
NOEC	არაეფექტური კონცენტრაცია
NOEL	არაეფექტური დოზა (ან ექსპოზიციის დონე)
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OPPTS	პესტიციდებით და ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების პრევენციის ოფისი.
PBT	მდგრადი, ბიოაკუმულირებადი და ტოქსიკური
STEL	მოკლევადიანი ექსპოზიციის ზღვარი
TWA	დროში გასაშუალოებული ზემოქმედება
vPvB	ძალიან მდგრადი და ძალიან ბიოაკუმულირებადი

გამოყენების შეზღუდვები  
მხოლოდ სამეცნიერო კვლევებისათვის გამოყენება.

### შემდგომი ინფორმაცია

ყურადღება მიაქციეთ ეტიკეტზე მითითებულ გამოყენების ინსტრუქციას. გამოყენებამდე გაეცანით „დუპონის“ მიერ მოწოდებულ უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას. ეს ნივთიერება იმპორტირებულია ან / და გამოიყენება (EC) No.1272/2008 რეგულაციის 1 (2) (დ) სტატიის ფარგლებში, რაც გულისხმობს ნივთიერებებს და ნარევეს რომლებიც არ არის ბაზარზე განთავსებული და გამოიყენება სამეცნიერო კვლევებისა და განვითარებისათვის.

(R) დარეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი „ე.ი. დუპონ დე ნემური ენდ კომპანი“ (E.I. du Pont de Nemours and Company).

**შენიშვნა:** CLP რეგულაციის VI დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების კლასიფიკაცია ეყრდნობა გამოქვეყნების ან შემდგომი ცვლილებების დროს არსებულ ცოდნასა და ინფორმაციას. ამ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის მე-11 და მე-12 პარაგრაფებში მოცემული კომპონენტების შესახებ ინფორმაცია, ტექნიკური პროგრესის და ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე, რიგ შემთხვევაში შეიძლება არ შეესაბამებოდეს იურიდიულად სავალდებულო კლასიფიკაციას.

წინა ვერსიიდან მნიშვნელოვანი ცვლილება აღნიშნული არის ორმაგი ზოლით.

აღნიშნულ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია ჩვენი ცოდნის, ინფორმაციისა და კომპეტენციის ფარგლებში გამოქვეყნებისა და განახლების მომენტისათვის. აღნიშნული ინფორმაცია არის მხოლოდ უსაფრთხო მობარების, გამოყენების, შენახვის, ტრანსპორტირების, განკარგვის შესახებ სახელმძღვანელო და არ განიხილება როგორც გარანტია ან ხარისხის დაზუსტება. აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტულ პრეპარატს (-ებს) და შეიძლება არ იყოს სარწმუნო პრეპარატ(ებ)ისათვის რომელიც გამოიყენება სხვა პრეპარატებთან ნაზავში ან რაიმე ტექნოლოგიურ პროცესში, ან, თუ პრეპარატი შეცვლილია ან დამუშავებული და ეს არ არის მითითებული ტექსტში.